№ 108 4 თიბათვე, კვირა 1866—1878 4 თიბათვე, კვირა № 108

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: „Въ Тиф. въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზედაც.

**ფასი განცხადებისა:** წვრილ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცენტიმეტრის ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გამოსწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის გამო, სამშაბათს გაზეთი არ გამოვა.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 2 Ივნისს.** Გაზ. „Globe"-ში დაბეჭდილია პირობები, რომლითაც რუსეთი და Ინგლისი მორიგებულან და რომელზედაც სალსბიურისა და შუვალოვს 18 მაისს მოუწერიათ ხელი: Ინგლისი თხოულობს ბოლგარიის გამგეობაში Ევროპამ მიიღოს მონაწილეობა. Კონგრესსზე იქნება მოლაპარაკება იმაზე—თუ რამდენ ხანს უნდა დარჩეს რუსის ჯარი ბოლგარიაში და როგორ უნდა გაიაროს იმან რუმინიაზედ; Ინგლისი და რუსეთი დათანხმდნენ, რომ ბოსფორი იმავ მდგომარეობაში დარჩეს, როგორც ახლა არის. Ინგლისი სთხოვს Ოსმალეთს, რომ დაიცვას Ათონის მთის უცხო ტომთა ბერები.

**პეტერბურღი, 2 Ივნისს.** „Მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია, რომ გრაფ პალენი თავის თხოვნით გამოდის სამსახურიდამ და იმის მაგივრად იუსტიციის მინისტრად დაინიშნება ტაინი სოვეტნიკი ნაბოკოვი.

ხელმწიფე Იმპერატრიცა უკეთ არის, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან სუსტათაა.

ხელმწიფე Იმპერატორმა ინახულა Ცარსკი-სელოს სასახლეში Ოსმალოს ელჩი შაქირ-ფაშა.

**პეტერბურღი, 3 Ივნისს.** „Მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია: ხელმწიფე Იმპერატრიცისათვის გუშინ აღარ გაუციებია. Მადა და ღონე ემლევა და თან-და-თან უკეთ ხდება.

**პეტერბურღისბირჟა, 3 Ივნისს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ლონდონი— | 24—78 | „ | „ |
| ამსტერდამი— | 125—75 | „ | „ |
| ჰამბურგი— — | 211—„ | „ | „ |
| პარიჟი — — | 260—„ | „ | „ |

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 239—„ |
| მეორე სესხის — — — | 233—75 |

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 98—75 |
| მეორესი — — — — | 95—75 |
| მესამესი — — — — | 95—62 |
| მეოთხესი — — — — | 95—72 |
| Ალმოსავლეთის — — | 94—87 |
| Ოქრო, ½ იმპერიალი— | 7—93 |
| Ქერსონი — — — — — | 3—50 |

## საქართველო

Დასასრული უფ. Აკაკის სტატიისა, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ამ ნომერში ვერ იბეჭდება,—ის დაიბეჭდება ოთხშაბათის ნომერში.

### დღიური

*** Კავკასიის სამასწავლებლო მაზრის Ცირკულიარში დაბეჭდილია წესდება Გორის სამასწავლებლო Ინსტიტუტის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა რომელიც ამ წლის 31 მარტს დაუმტკიცებია მთავრობას. Ამ პატარა ბანკის დანიშნულება ის იქნება, რომ ხსენებული Ინსტიტუტისა და აგრეთვე Გორის სხვა სასწავლებელთა მასწავლებლებს შეეძლოსთ შენახვა იმ ბანკში თავის ფულისა და საჭიროების დროს გამოტანა. Ბანკის თავნი ფული შესდგება ამხანაგებისაგან თვეობით შეტანილის ფულიდგან.

*** „Ივერიის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შენიშნვა Ივრის დამზოგველ ამხანაგობაზედ, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ წლის 1 იანვრიდგან 26

## ფელტონი

### პალტო

(მოთხრობა)

I

Დიმიტრი პეტროვიჩი იყო ერთი უსათნოეს და უპატიოსნესთაგანი პირი არა თუ მარტო Ბ-ის მაზრაში, იქნება მთელ Ბ-ის ღუბერნიაშიაც. Ხასიათი ჰქონდა ისეთი წყნარი, მშვიდი, რომ ბუზსაც კი არ აწყენინებდა და წყალსაც კი არ აამღვრევდა.

Იმას ჰქონდა Ბ-ში საკუთარი შენობა სრული, თბილი, ადვილათ მოსათავსებელი. Პრიკაზში ვიღაც უცნობის სახელზედ ეწყო იმისი საკუთრება კარგა „სქელი ასიგნაციები;" ამდენივე ეჭირა სანდო ხელს საიმედო გირავოს ქვეშ.

Მსახურებდა Დიმიტრი პეტროვიჩი ქვრივ-ობლებ-გაჭირვებულთათვის დადგენილ სამმართველოში. Ჯვარ-წერილი იყო მშვენიერ შავგვრემან, ნაზ-ნარნარ-კოხტა-სალუქ-კოპწია ნემეცის ქალზედ, რომლის ჟუჟუნა-მიბნედილი პატარა თვალები წააგვადნენ მოწმენდილ ცაში მბჟუტავ ვარსკვლავებს.

Ამალია Ქარლოვნაც თავის მხრით იყო არა ნაკლებ ბედნიერი თავის ქმარზედ: იმას ჰქონდა გული ლმობიერი და კეთილი, სული სავსე საუკეთესო თვისებებითა და ყოველივე კეთილი კაცი ხომ ბედნიერია.

Ერთი გარემოება ანუ ფიქრი ჰბურავდა იმის ყველაფრით შეუშფოთებელ გულს თხელი ნისლით,—ის ფიქრი, რომ ქმარს ცოტა ჰქონდა იმის სიყვარული. Მაგრამ ეს ფიქრი იყო უსაფუძვლო. Მართალია, Დიმიტრი პეტროვიჩს დაქორწინებულს კარგა ხანში შესვლის დროს, არ შეეძლო შეჰყვარება Ამალია Ქარლოვნასი ისე, როგორც უყვარს ჭაბუკს, ახალგაზდა კაცს, და ამასთან, დოქტურების დარწმუნებით, იმის სიმრთელე ძრიელ შერყეული იყო სამსახურის გამო,—მაგრამ მაინც ტიტიკოს უყვარდა Ამალია და იყო იმასთან მუდამ ერთგულად.

Მზრუნველი ქვრივ-ობლებთა Ბ-ში იყო იმდონათ ბედნიერი, რამდონათაც შეიძლება იყვეს სიკვდილის შვილი. Მხოლოდ ერთი ფიქრი, ანუ გარემოება იმასაც აშფოთებდა და ურევდა მწუხარების მწარე წვეთებს ტკბილი სიცოცხლის სიტკბოებით სავსე ჯამში, რომელიც განწესებული იყო იმისთვის დასალევად.

„— Ღმერთო ჩემო!" ჰფიქრობდა ისა: „რათ არის ეს ასე, რომ ჩინოვნიკი ისეთივე პატივ საცემი კაცია, როგორც რომელიმე აფიცარი, მაგრამ გამოდის სულ სხვანაირად: საზოგადოებაში, მაგალითად,—მე არ ვამბობ „ბონჟურ-მონჟუროჩკებში" (ასე ეძახდა საზოგადოთ ახალგაზდა ქალებს), ამათში

აპრილამდინ ამხანაგობას უყიდნია 3,307 მანეთის საქონელი და გაუყიდნია 3,710 მანეთისა; ამას გარდა 4 აპრილიდამ 9 მაისამდინ 2,412 მანეთის ფარჩეულობა ჰქონია მაღაზიაში და აქედამ 1,221 მანეთის გაუსაღებია. სულ ერთიანად უყიდნიათ 5,720 მანეთის საქონელი და 4831 მანეთის გაუყიდნიათ.

*** ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის განცხადებიდამ შეიტყობდა მკითხველი, რომ გასული მაისის 15-ს თფილისში გაიხსნა ქართული წიგნის მაღაზია.

ეს გარემოება ძალიან სასიამოვნო გარემოებად უნდა ჩაითვალოს ყველა ქართველისათვის, რომელთაც კი თავის სამშობლო ლიტერატურის წარმატება რამედ მიაჩნიათ. გასაკვირველი-კია, მაგრამ ეს ნამდვილია, რომ წიგნის მაღაზიის გახსნას მართლა უეჭველი წარმატების მიცემა შეუძლიან ქართული მწიგნობრობისათვის: თითქმის უპირველესი დამაბრკოლებელი მიზეზი ჩვენი მწიგნობრობის უსტად მსვლელობისა ის არის, რომ წიგნები არ ვრცელდება, არ ვრცელდება იმიტომ კი არა, რომ წამკითხველები მაინც-და-მაინც ნაკლებათ იყვნენ ჩვენში,—არა, მხოლოთ იმიტომ რომ კითხვის მსურველს წიგნი ვერ შეუძენია.

დღემდინ ქართული წიგნის ყიდვის მსურველს ყველა წიგნის მაღაზიები უნდა დაევლო, წიგნის გამომცემელთან უნდა მისულიყო რამდენიმეჯერ და ბოლოს იქნება, როგორც იყო, შეეძინა წიგნი.

ახლა ხსენებულ მაღაზიის საშუალებით, წიგნის შეძენის ღონის-ძიება გაადვილებული იქნება, რადგან ამ მაღაზიაში იქნება გასასყიდლად დაწყობილი ყოველ-გვარი ქართული წიგნები, რომელიც კი თფილისში ან სხვაგან სადმე დაბეჭდილია ან დაიბეჭდება.

ვისურვოთ, მაშ, რომ ამ მაღაზიის გამხსნელებმა კარგათ სინიდისიანათ და საქმის ცოდნით წაიყვანონ ეს საქმე და ამ გვარად სარგებლობა მოუტანონ ჩვენს საზოგადოებას.

*** „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ქალაქში ახალი ხიდი უნდა გააკეთონ მტკვარზედაო. ეს ხიდი უნდა გავიდეს ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოდამ გაღმა ისარლოვის ქუჩის პირ-და-პირო. ამას გარდა, ხსენებული გაზეთის სიტყვით, სხვა ხიდებს აკეთებს კიდევ ქალაქი თავის ხარჯით.

*** გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ გასული თვის წვიმებს დიდი ზარალი მიუცია კახეთისაკენ, განსაკუთრებით გომბორის ხეობაში; ზოგიერთი გლეხი სრულიად დიჰლუპა ნიაღვარმაო.

*** დღევანდელ ნომერში იბეჭდება გორიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც იმავე საგანს შეეხება, რომელზედაც ამას წინათ ჩვენი შორაპნელი კორრესპონდენტი გვწერდა, ე. ი. ებრაელებისაგან ქრისტიანი ყმაწვილის წვალებას.

ეს ცრუ-მორწმუნეობა ერთობ მკვიდრად არის ჩვენს ხალხში გავრცელებული, და, საუბედუროთ, თითქო იმის გასამართლებლად, დრო-გამოშვებით თითო-ოროლა შემთხვევა ხდება ჩვენში.

სასურველია, ძალიან სასურველია, რომ ყველა ამ გვარი ჭორების მოსასპობლად მთავრობამ და სასამართლომ ფიცხელი გამოძიება მოახდინოს, გამოსცეს სახალხოთ ეს გამოძიება და ამნაირად ერთხელ-და-სამუდამოთ დააჯეროს ხალხი, რომ ებრაელებისაგან ქრისტიანის ბავშვის წვალება ტყუილი და უსაფუძვლო ამბავია. ნუ თუ ჩვენ უნდა უცდიდეთ იმ დროს, როდესაც ხალხი ერთხელ კიდევ იმისთანა საქმეს ჩაიდენს, როგორც შარშანწინ ჩაიდინა სურამში, როდესაც ხალხი „თავისებური სამართალი“ მიანიჭებს ურიებს?!

## „დროების“ კორრესპონდენცია

**გორი**, 31 მაისს. დღეს თერთმეტ საათზედ გორელი ბავშვები გასულიყვნენ მტკვრის გაღმა გორში თევზის დასაჭერათ და ამ დროს იქ ბუჩქებში დაენახათ რაღაც გახვეული ტილოში და ფრიად შეშინებოდათ, ისე რომ თითონ ველად მიებედნათ ბუჩქთან მისვლა.

ამ დროს გაეარნათ წლოვან კაცებსა, რომლებიც ყმაწვილებს მიეხმოთ: აქ მოდით, გვიშველეთო! აქ პატარა ბავშვი გდია ტილოში გახვეულიო!

ისინიც მისულიყვნენ, გაეხსნათ ტილო და ტილოში თუმცა ადამიანის შვილი კი არა ყოფილიყო, მაგრამ წმიდა სამთლის ჩამოსხმული ბავშვის ოდენი სურათი კი ყოფილიყო.

ეს იმ წამსვე მიიტანეს გორის უეზდის უფროსთან.

ეს წმინდა სამთლის ადამიანის მგზავსი სურათი მე თვითონ ვნახე გორის უეზდის უპრავლენიაში და ჩემ-და-საკვირველათ დავინახე, რომ ამ სურათში ალურიცხველი ნევსები ერჭო. აგრეთვე ორი თუ სამი ნაჭერი ტილოც ვნახე; ერთ მათგანზედ დახატული იყო ადამიანის პირისახე და ზედ რამდენსამე ადგილზედ წარწერილი იყო ებრაულად; აგრეთვე სხვა

ხომ იმისი ეპოლეტების, ულვაშების, დეზების, შაშკა-მაშკების და ყოველივე იმისი მიხრა-მოხრას, ფეხის გადადგმას რაღაც საიდუმლო მნიშვნელობა ეძლევა და ადამიანს თავ-ბრუს უხვევს,—არა! მე ვამბობ საზოგადოების სხვა კლასში,—მაინც რაღაც უფრო პატივი, ხათრი ეძლევა აფიცარს, სინამ ჩვენ—ჩინოვნიკს?! ქალამნებიანებზედ, უბრალო დაბალ ხალხზედ ხომ საჭიროც არ არის ლაპარაკი: მიდიხარ გზაზედ შენთვის წყნარად, ყველას გზას აძლევ, მაგრამ მაინც არა! გამოექანა კინტო, სალახანა ვინმე და ისე დაგეჯახა, რომ ქუჩიდამ გადაგახტუნა! აფიცერი? მიდის თავისთვის ამაყ მამალივით, ყველა წვრილი ხალხი განზედ ეცლება, სალდათები იმტვრევენ, ჰმუჰნიან ქუდებს, ყარაულები უკეთებენ ისეთ „ჩესტს“, ისეთ „შტუკებს“, რომ გამოთქმაც ძნელია! ერთი სიტყვით, ყველგან პატივი და დიდება!“

ასე რომ სჯიდა დიმიტრი პეტროვიჩი, თუმცა, თავის სანუგეშოდ, გადასწყვიტა, რომ პატივი, რომელიც ეძლევა აფიცრებს, არის მხოლოდ გარეგნული და არა მაინცა-და-მაინც სანატრელი, მაგრამ ის მაინც უარს არ ჰყოფდა, თუ რომ ჰქონოდა ამ-გვარი „გარეგნული“ პატივ-საცემი ნიშნები. კარგა ხანს ის ჰფიქრობდა და აძაგებდა საზოგადოებას, რომ ის უმართლოდ, დაუხედავად სდებს მსგავს აშკარა განსხვავებას ჩინოვნიკებსა და აფიცრებს შორის.

ერთხელ, როდესაც ძრიელ გულმოსული იყო რაღაზედაც, იმან ამ გარემოების გამო კიდევაც გამოსთქვა მმართებლობაზედ საყვედური და რამოდენიმე შეუსაბამო, ცხარე სიტყვები; მაგრამ ამ დროს კაბინეთში იმის გარდა არავინ არ იყო და ამისათვის თავისუფლად შეეძლო მისცემოდა თავის მრისხანებას და ტკბილი ოცნებებს, თუ რა გონივრული განკარგულება იქნებოდა, რომ ჩინოვნიკებისთვისაც მიეცათ ის გვარი ფორმა, როგორიც აქვსთ აფიცრებს!

ერთხელ დიმ. პ—მა გაიგო, რომ ჩინოვნიკებს ნება აქვსთ, ვალდებულებიც არიან ატარონ ფორმის ქუდები კაკარდებით და აფიცრული პალტოები, მხოლოდ მხრები კი სადათ, უპაგონოთ უნდა ჰქონდეთ. სიხარული დ. პ—სა ჰგავდა ყმაწვილის სიხარულს, რომელსაც დიდი ხანია ჰსწყუროდა მიეღო და ენახა თავისი სანატრელი სათამაშო ნივთი! ის გაიქცა სამხედრო მკერვალთან და შეუკვეთა პალტო, „სწორეთ ისეთი როგორსაც ის უკერავს აფიცრებს, ტყის ნაწილის აფიცრებს, გზის აფიცრებს, აფიცრებს რალა!“

ერთი კვირის შემდეგ მკერვალმა—ებრაელმა მოიტანა პალტო. დიმიტრი პეტროვიჩმა მსწრაფლ ჩაიცვა, მიიხედ-მოიხედა სარკეში და ნახა რა, რომ მშვენივრად ადგა ტანზედ, იმ წამსვე წავიდა სასეირნოთ, თუმცა ეს ის დრო

ტილოს ნაჭრებიც ებრაულად იყო დაწერილი; ყველა ეს ტილოები შებასრული იყო არ ვიცი ადამიანის სისხლით, თუწითელი ღვინით.

ამ დროს მრავალი ხალხი შეიკრიბა, რომ გაეგოთ — თუ რა ეწერა ებრაულად იმ ტილოებზედ; მაგრამ ჯერ არ ვიცით-რა არის დაწერილი. ერთი ებრაელი მოვიდა ამ დროს უპრავლენიაში და მას ჰკითხეს, რა არის დაწერილიო? მაგრამ მან უარი სთქვა, რომ მე ებრაული არ ვიცი არც წერა და არც კითხვაო; მაგრამ საცოდავმა რომ დაინახა ის ტილო, კინაღამ გული შეუწუხდა და სულკანკალი მოუვიდა...

იმედი მაქვს შევატყობინოთ ისიც, რა სწერია იმ ტილოებზედ, რადგანაც მთავრობის განკარგულებით მოთხოვილია ებრაელების რაბინი იმ ტილოების წასაკითხავათ...

მ. თ—რიძე

---

ზუგდიდი, 29 მაისს. დღეს დილით, მესამე საათის ნახევარზედ, პოდპორუჩიკის ქორდესს სახლში ერთმა არტილერის პორუჩიკმა რევოლვერი ჰკრა მესამე კავკასიის ბატალიონის საქმის მწარმოებელს უფ. კალნიცკის, რომელსაც ტყვია მოხვდა უკან ბეჭს ქვევით და ჩარჩა შიგნით ტანში.

კალნიცკი ძლიერ ავათ არის და ამბობენ არ მორჩებაო. ეს მით უფრო საცოდავი არის, რომ მცირე-წლოვანი ყმაწვილები დარჩება.

ამ შემთხვევის გარემოებას ასე ლაპარაკობენ:

ამ ქორდესსას აფიცრები მოსულან თავიანთი ცოლებითურთ დაბრუნებული კლუბიდგან; აქ კიდევ უსვამსთ ზომაზედ მეტად და შემდეგ გამოთხოვებისა, როდესაც, თავის ბინებზედ წასასვლელად გარეთ გამოდიოდნენ, იმ დროს კალნიცკის ჰკრეს ტყვია. ზოგნი, იმ დროს იქ მყოფნი, ამბობენ უეცრად მოხდა ეგ საქმეო. ასრე ამტკიცებს უ. კალნიცკის მეუღლეც... ამბობენ, უნდათო, დამნაშავე დამალონო. თვით ავათმყოფი კალნიცკი ამბობს: — მეტს არასფერს არ ვიტყვიო; თუ მოვკვდი, ღმერთმა ყველას მშვიდობა მისცესო, და თუ მოვრჩი თვითონ მე გარდაუხდი ჩემს ცოლსა და არ არტილლერისტსაცაო......

ერთი ვინმე

---

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

„პოლიტიკურს კორესპონდენციაში იწერებიან სტამბოლიდამ:

„მთელს ქვეყანას იმედი მიეცა ახლა, რომ რადგან ინგლისის და რუსეთი დათანხმდნენ და კონგრესსი შეიკრიბება, ამის გამო ომს აღარ უნდა მოველოდეთო; მაგრამ შესანიშნავი და ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ინგლისის აქაური ელჩი ლეიარდი არც ამ ინგლის-რუსეთის დათანხმებას და არც კონგრესს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს: ის პირ-და-პირ და დაურიდებელად ამბობს ყველგან, რომ რამდონიც უნდა დაგვითმოს რუსეთმა, ომი მაინც უეჭველად მოხდებაო.“

—

გაზეთის „Times“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება:

„იმ ამბავმა, რომ რუსეთი და ინგლისი დათანხმდნენო, ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის მთავრობაზე და საზოგადოებაზე [illegible] ოსმალეთში. ეს ადვილათ გასაგებია: ოსმალებს იმედი ჰქონდათ, რომ ინგლისი უეჭველად გამოუცადებს რუსეთს ომსა და ამ საშუალებით დაიბრუნებდა იმას, რაც სან-სტეფანოს მორიგების პირობის ძალით მიაქვს რუსეთს,

—

მოგეხსენებათ, რომ ამ ორი თვის წინეთ, როდესაც ლენ. ტოტლებინი დაემუქრა ოსმალეთის მთავრობას, შუმლა, ვარნა და ბათუმი დაგვიცალეთ, თორემ სტამბოლს დავიჭეროთ, მაშინ ოსმან-ფაშამ გამოუცხადა ხონთქარს, რომ სტამბოლი ისე სუსტად არის გამაგრებულიო, რომ რუსებმა თუ მოინდომეს, ადვილად აიღებენო. მას აქეთ ოსმან-ფაშა და მუხთარ-ფაშა თითქმის დღე და ღამე ამუშავებდნენ ჯარებს და ისეთ ნაირად გაამაგრეს თურმე სტამბოლი, რომ ახლა იმედი აქვთ, რუსის ჯარი ვერ დაიჭეს ოსმალეთის სატახტო ქალაქს.

---

# უცხო ქვეყნები

## გერმანია

გერმანიის ოფიციალურს გაზეთში ყველა მინისტრებისაგან ხელ მოწერილი ბრძანებაა დაბეჭდილი, რომლის ძალითაც, სანამ იმპერატორი ავათ იქნება, სახელმწიფო საქმეების გამგეობა მინდობილი აქვს გერმანიის ტახტის მემკვიდრეს.

— ტელეგრამმამ გვაცნობა ამ დღეებში, რომ გერმანიის პარლამენტი დაუთხოვნია საკავშირო რჩევას და ივლისში იქნეს კენჭის-ყრა მომავალი რეიხსტაღის წევრებისთვის-ზემოხსენებულს გაზეთში

---

იყო, როცა იმას ჩვეულება ჰქონდა ჩაჯდებოდა ხოლმე რბილ სავარძელში და კითხულობდა „მოსკოვის უწყებებს“ ან „კავკაზის“ „დამატებას.“

შესცვალა რა დრო სეირნობისა, დ: პ—მა შესცვალა იმისი მიმართულებაც. იმან, თითქო ახლად გაპრაპორშჩიკებულიო, განგებ ჩაიარა იმ ქუჩაზედ, საცა ყარაული სალდათები იდგნენ. ხაზინის კარებთან მდგარი სალდათი სთვლემდა; დაინახა თუ არა ამპარტავნულად მომავალი ქვრივ-ობლების მზრუნველი პალტოში და კაკარდიან წითელ მაუდ შემოვლებულ ქუდში, იმან მიატრიალ-მოატრიალა თოფი და მიესალმა მომავალს სანატრელი „ჩესტითა და მტკიცებით.“ დიმიტრი პეტროვიჩს ვომეტებულის სიხარულით და სიამოვნებით გულმა ფანცქალი დაუწყო და ორი სხვილი ცრემლიც მოადგა თვალებზედ. იმან მოიხადა ქუდი და დაატანა გაბეჯითებით:

— მადლობელი ვარ ჩემო ძმობილო! კარგი, ჩამოიღე თოფი!

ამ დროს იმას მოაგონდა, რომ აფიცრები სალდათებს ქუდს არ უხდიან და ამისათვის მეორე სალდათს, რომელიც იდგა სატუსაღოს კარებთან, მიესალმა მხედრული თავის დაკვრით, ე. ი. მიიდო მარჯვენა ხელი ქუდის კაზიროკზედ, მაგრამ ისე კი არა, როგორც იციან ზოგიერთმა აფიცრებმა, რომ მეტისმეტი სიკოხტავით, სიფრანტით უთავბოლოთ ცხვირს წინ საჩქაროდ გაუელვებენ ორ ან ერთ თითს, არა,—ისე, როგორც დარბაისელ, მძიმე კაცს შეშვენის, ე. ი. მიიდო მარჯვენა ყურის დასწვრივ სრულად გაშლილი ხელის გული, მხოლოდ ნეკი და ამისი მეზობელი თითი კი მოკეცა დასამტკიცებელად იმისა, რომ ამ ორ თითს არ აქვს მონაწილეობა დანარჩენ სამ თითთან ამ ნაირ შემთხვევაში.

დიმიტრი პეტროვიჩი დაბრუნდა შინ ძალიან კმაყოფილი, ისადილა კარგა მადიანათ და წავიდა მოსასვენებლად.

ამალია კარლოვნამ შენიშნა, რომ ის ქმარმა დღეს თითქო წინანდელზედ უფრო შეიყვარა!

ასე, ამ ორთა კეთილთა და ბედნიერთა გვამთა სიცოცხლე ემსგავსებოდა, როგორც პოეტები იტყვიან, წყნარ რუს, მომდინარეს მშვენიერ მწვანილოვან, ხავერდის ფერ, ვარდებისა და სხვა ყვავილების არომატიული სუნნელებით შემკულ ნაპირებში, სადაც მხიარულად და უდარდელად სხვა-და-სხვა კილოზედ ჰგალობენ ბულბულნი და სხვა მგალობელი ფრინველები. ერთი სიტყვით, ძალიან კარგათ მიგოგავდა ამათი ცხოვრება.

მაგრამ, ღმერთო ყოვლის შემძლებელო! წყნარ რუზედაც შესაძლებელია, თუ ძრიელი ქარიშხალი არა, ავდარი მაინცა!

თეოფი. ქანდელაკი

(დასასრული შემდეგში)

მოყვანილია ახლა მიზეზი—თუ რის გამო დათხოვნილია რეხსტაღი. იმ წინადადებაში, რომელიც ამ საქმის შესახებ შეუტანია თ. ბისმარკს საკავშირო რჩევაში ის მოსაზრება არის გამოთქმული, რომ რეიხსტაღმა არ მიიღო მმართებლობისაგან წარდგენილი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგი კანონების პროექტიო და ამის გამო, უეჭველია, ეს რეიხსტაღი არც სხვა კანონებს დაამტკიცებს მმართებლობისასო.

## ოსმალეთი

ინგლისური გაზეთი „Daily News“, რომელიც რუსეთის მომხრე გაზეთად ითვლება, ამბობს, რომ ოსმალეთის ხალხი ამჟამად ძალიან უკმაყოფილოდ არის თავის სულთანზედაო, იმას აბრალებენ ოსმალეთის დაღუპვას და ხალხის გაღარიბებასაო.

ამ გაზეთის სიტყვით თვითონ სულთანი ამჟამად ძალიან ავათ არის, თითქმის სრულებით შეშლილა ჰკუაზედაო. სხვათა შორის ის ძალიან უკმაყოფილოთ არის თურმე ოსმან-ფაშაზედ და რამდენჯერმე გამოაცხადაო, რომ ნეტავი რუსებს არ გამოეშვათო. ძალიან გულით უნდაო, რომ ოსმან-ფაშა სადმე გაგზავნოსო, მაგრამ ხალხის ეშინიანო.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება

**„თამარ ბატონიშვილი“**

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული მრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

(5—4)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

**„მული, რძალი და მაშენიკები“**

სამ-მოქმედებიანი დრამმა

ალ. ა. თუთაევისა (5—4)

ქ. გორში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი

უფ. ჟურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით.

ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევთან.

(3—3)

უფროსის კლასის გიმნაზიელს ჰსურს აძლიოს გაკვეთილები პროგიმნაზიის საგნებიდამ.

მსურველს შეუძლია ადრესსი იკითხოს ფოჩტაში, ჩინოვნიკ შაშელთან.

(5—5)

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა მრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ვისაც ჰსურს მოჰკრას **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღვილს, (კუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

**ქართული წიგნის მაღაზია,**

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

გამოვიდა და ისყიდება

**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბექათუბნის უჩეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## მაზანდა

| თფილისი, 3 ივნისს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 45 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური ხტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 5 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 99 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1-მდინ.

ორშაბათს: ქიურჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიურჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი — თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი — გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის: მესხი.